საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი 25 სექტემბერი 2026 წ.

ბრძანება №01-08/43

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-16 მუხლის, 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 37-ე მუხლის, ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 28 ივლისის №05-01/01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების“ პირველი მუხლის საფუძველზე ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში-ბხსუ) წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნები.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს ასარჩევ წევრთა რაოდენობა განისაზღვროს 15 წევრით:

ა) სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტი - 4 აკადემიური პერსონალი, 2 სტუდენტი;

ბ) მუსიკის ფაკულტეტი - 2 აკადემიური პერსონალი, 1 სტუდენტი;

გ) განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 2 აკადემიური პერსონალი, 3 სტუდენტი.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში შედის ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ არჩეული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი.

4. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბხსუ-ს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ.ბათუმი, ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. №19/32, ოთახი №103), 2026 წლის 29 სექტემბრიდან 2026 წლის 05 ოქტომბრის ჩათვლით, გარდა შაბათ-კვირისა, 10:00 საათიდან - 16:00 საათამდე.

5. კანდიდატებმა საარჩევნო კომისიაში უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება (შევსებული წინამდებარე ბრძანების დანართი №1-ის და დანართი №2-ის შესაბამისად);

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) ცნობა ბხსუ-ს შესაბამის ფაკულტეტზე დაკავებული აკადემიური თანამდებობის/სტუდენტის სტატუსის შესახებ.

6. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნები ჩატარდეს 2026 წლის 08 ოქტომბერს (კენჭისყრა 10:00 სთ-17:00 სთ).

7. ბხსუ-ს ფაკულტეტების დეკანებს დაევალოთ ამომრჩეველთა სიების წარდგენა საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიაში 2026 წლის 05 ოქტომბრის ჩათვლით („სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების“ მე-19 მუხლის შესაბამისად).

8. ბხსუ-ს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიას დაევალოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულებით“ გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

9. ბრძანება განთავსდეს ბხსუ-ს ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

10. ბრძანება დაეგზავნოს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს, აიტი მენეჯერს, იურისტს და საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიას.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. № 30).

12. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი,
ასოცირებული პროფესორი **მ. ალაფიშვილი**